პროფესიული საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის საბჭოს გადაწყვეტილება
ქ. თბილისი

MES 3 20 0000541853

30/06/2020

შპს - მარნეულის საზოგადოებრივი კოლეჯის ავტორიზაციის შესახებ პროფესიული საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის საბჭოს 2019 წლის 14 ივნისის №124 გადაწყვეტილებაში ცვლილების შეტანის შესახებ

პროფესიული საგანმანათლებლო დაწესებულების მიერ პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამების დამატების განაცხადებში ასახული ინფორმაციის, ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნისა და პროფესიული საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის საბჭოს სხდომაზე დაინტერესებული მხარის მიერ დაფიქსირებული პოზიციის შესწავლის, შეფასებისა და ურთიერთშეჯერების საფუძველზე, საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 63-ე მუხლის შესაბამისად,

საბჭომ გადაწყვიტა:

1. ცვლილება განხორციელდეს შპს - მარნეულის საზოგადოებრივი კოლეჯის ავტორიზაციის შესახებ პროფესიული საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის საბჭოს 2019 წლის 14 ივნისის №124 გადაწყვეტილებაში, კერძოდ გადაწყვეტილების მეორე პუნქტით გათვალისწინებული დანართი ჩამოყალიბდეს თანდართული რედაქციით **(დანართი).**
2. გადაწყვეტილების ძალაში შესვლის თარიღად განისაზღვროს 2020 წლის 19 ივნისი.
3. პროფესიული საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის საბჭოს 2020 წლის 30 ივნისის №538693 ოქმის მეათე ნაწილი ცნობილ იქნეს ამ გადაწყვეტილების განუყოფელ ნაწილად.

4. პროფესიული საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის საბჭოს გადაწყვეტილების გასაჩივრება შესაძლებელია მისი გაცნობიდან ერთი თვის ვადაში, სააპელაციო საჩივრის სააპელაციო საბჭოში წარდგენის გზით შემდეგ მისამართზე: ქ. თბილისი, მ. ალექსიძის ქ. №1 ან ქ. თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიაში სარჩელის შეტანის გზით შემდეგ მისამართზე, დავით აღმაშენებლის ხეივანი, მე-12 კილომეტრი №6.

პროფესიული საგანმანათლებლო დაწესებულებების
ავტორიზაციის საბჭო
საბჭოს თავმჯდომარე
ყუფუნია ნანა

სსიპ-განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული
ცენტრი
პროფესიული საგანმანათლებლო დაწესებულებების
ავტორიზაციის საბჭო
საბჭოს მდივანი
ჩაგელიშვილი მარიამ